საქართველო

ორი ათას ათი წლის ოცდარვა სექტემბერს მე, ნოტარიუსს ნინო ბარაბაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ნავთლუღის ქ.№3, მომმართა ბიძინა გამყრელიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს განცხადების შედგენა და თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ბიძინა გამყრელიძემ (დაბადებული 19.02.1942წ. მცხოვრები: თბილისი, მუხიანის 2 მკრ. ორპ. 5, ბინა 76. პირადი №01001045207) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამჩენია. მე დავრწმუნდი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. რის შემდეგ ხელმომწერმა განაცხადა, რომ წინამდებარე ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით შეასრულა თავისი ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ორი ლარი, რეგისტრაციის საფასური ორი ლარი და პროექტის შედგენის ერთი ლარი, თანახმად საქართველოს კანონის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ 29-ე და 31[1] მუხლებისა.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მე შპს ”ზევსი”-ს დირექტორი ბიძინა გამყრელიძე ვადასტურებ, რომ ჩვენი ორგანიზაცია არის მფლობელი მიწის ნაკვეთისა მდებარე: თბილისი, ვარკეთილი 3, სამხრეთით, მაგისტრალურ გზასთან ნაკვ.№04/003, (საკ. №01/19/020/004/003) და ვაცხადებ თანხმობას მასზედ, რომ შპს ”მეტრა გრუპ ჯორჯია”-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მდებარე: თბილისი, მაისურაძის ქ.№11-ში (საკ. №01/19/020/004/005) მშენებარე საცხოვრებელი სახლის ნაწილები: კონსოლი, ღიობები და ბორდიური გადმოდიოდეს ჩვენი კუთვნილი ტერიტორიის აღმოსავლეთით, გაზგასამართი სადგურიდან გამოსასვლელი გზის ნაწილში, წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის შესაბამისად, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

ხელმოწერა _____

ნოტარიუსი _____ ნინო ბარაბაძე

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N100977398 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 28.09.2010 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ნინო ბარაბაძე |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა #3 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 74 87 74 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 70663351800010 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

